



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №24

29 მაისი 2018 წ.

ქ. თელავი

ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 76 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ციური ლავაურს (პ/ნ 20001021519) გაუგრძელოს ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 76 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.20.37.337) შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის (ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლა) შესრულების ვადა 1 (ერთი) წლით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლამიძე